აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 2

10 ნოემბერი 2009 წელი ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო-კომისიის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილებით დამტკიცებულ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედ საექსპერტო-კომისიის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დებულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულება“

2. დებულების 1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპერტო კომისიის შემადგენლობა მტკიცდება უსკო-ს თავმჯდომარის ბრძანებით, მასში შეყვანილი უნდა იყვნენ ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები უსკო-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს საქმისწარმოების სამსახურის მუშაკი და დაწესებულების არქივის გამგე (ან თავმჯდომარის ბრძანებით მინიჭებული არქივზე პასუხისმგებელი პირი),

ხოლო იქ, სადაც ეს საჭიროა, შესაბამისი საარქივო დაწესებულების წარმომადგენელი. საექსპერტო კომისიის მდივნად როგორც წესი, ინიშნება საქმისწარმოების მუშაკი ან დაწესებულების არქივის გამგე (ან თავმჯდომარის ბრძანებით მინიჭებული არქივზე პასუხისმგებელი პირი).

3. დებულების 1.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.4. თავის საქმიანობაში საექსპერტო კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, დარგობრივ (საუწყებო) სისტემაში მოქმედი ბრძანებებით და მითითებებით, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტებით, ამ დებულებით.“

4. დებულების 3.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.4. თავის სხდომაზე მოისმინოს საქმისწარმოების ხელმძღვანელის, სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობისაგან და დაწესებულების არქივის ინფორმაციები დოკუმენტების გაფორმებისა და საქმეთა ფორმირების ხარისხის, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ;“

**მუხლი 2**. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ა. მიქელაძე |
| კომისიის მდივანი | ქ. ჯიქია |